სააქციო საზოგადოება "ნიკორა ტრეიდის" (ს/კ 206255808)
<u>აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი #2</u>

აქციონერთა კრება გაიმართა 2024 წლის 11 სექტემბერს, წესდებით გათვალისწინებული წესით.

კრების ჩატარების ადგილი: ქ.თბილისი, ა.მრევლიშვილის N2
კრების დაწყების დრო: 12:00 საათი

აქციონერთა მორიგი საერთო კრების კენჭისყრის შედეგები

დღის წესრიგი:

- "ნიკორა ტრეიდის" მიერ მიერ ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციები) გამოშვება/გათავსება.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, დამსწრე ხმის უფლების მქონე აქციონერთა 100 %-ის გადაწყვეტილებით, კერძოდ:

1. *ნება დაერთოს სს „ნიკორა ტრეიდს"-ს განახორციელოს არაუმეტეს 120 000 000 (ას ოცი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების კუპონიანი ობლიგაციების გამოშვება/განთავსება/გაყიდვა საჯარო შეთავაზების გზით ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად. სს „ნიკორა ტრეიდის"-ს აღმასრულებელ დირექტორს მიეცეს უფლებამოსილება განსაზღვროს ემისიის პირობები (მათ შორის ობლიგაციების რაოდენობა, თითოეულის ნომინალური ღირებულება, დაფარვის ვადა, კუპონის პროცენტის ოდენობა, გამოშვება-განთავსების პერიოდულობები და ყველა სხვა საჭირო პირობა) და უზრუნველყოს მათი განთავსება თავად ან/და უფლებამოსილი წარმომადგენლის/კონტრაქტორის/განთავსების აგენტის მეშვეობით, ასევე განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება, ხელი მოაწეროს ნებისმიერ შეთანხმებას/ხელშეკრულებას ან დოკუმენტს, რომელიც აუცილებელია ამ ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და განთავსებისათვის, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების „საქართველოს საფონდო ბირჟის" სავაჭრო სისტემასა და შესაბამისი კატეგორიის ლისტინგში, აგრეთვე სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში დასაშვებად.*

2. ემისიის მენეჯერად და ანგარიშსწორების აგენტად განსაზღვრულ იქნას ს/ს „თიბისი კაპიტალი".

3. სს "ნიკორა ტრეიდის"-ს აღმასრულებელ დირექტორს თემურ ალექსანდრიას დაევალოს წინამდებარე კრების ოქმით გათვალისწინებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო მოქმედებების შესრულება.